

მიღება 2016-2017 სასწავლო წლის ფარმაციის სამაგისტრო პროგრამაზე

ხელ-ი პროფ. ელზა ნიკოლეიშვილი

პროგრამაზე მიღების პირობები:

სტუდენტებმა წარმატებით უნდა ჩააბარონ გამოცდები ინგლიზურ ენაში /B2 დონე/ (51%) და გაიარონ გასაუბრება სპეციალობაში

გასაუბრების ძირითადი საკითხები წარმოდგენილია შემდეგი თემებიდან:

1. პირველადი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჰოსპიტალური და ფარმაცევტული სექტორების ფუნქცია;
2. ფარმაკოზედამხედველობა, გენერიკული მედიკამენტები;
3. კლინიკური კვლევის დიზაინი- პლაცებო სისტემა.
4. წამლით მკურნალობის პრინციპები. წამლის შეყვანის გზები.
5. სასუნტქი სისტემის დაავადების სამკურნალო მედიკამენტები. ანტიჰისტამინები, მათი მოქმედების მექანიზმი, გვერდითი ეფექტები.
6. ასაკთან დაკავშირებული უხშირესი პათოლოგიური მდგომარეობების (კოლორექტალური, ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, წინამდებარე ჯირკვლის) სკრინინგი და პრევენცია.
7. ფარმაცევტული ზრუნვის გეგმა. დაავადების მედიკამენტური მართვის პრინციპები.
8. ფარმაცევტული ზრუნვა, სათანადო ფარმაცევტული პრაქტიკის სტანდარტები.

გასაუბრება გავლილია თუ აპლიკანტს აქვს აღნიშნული თემატიკის ძირითადი საკითხების შესახებ ცოდნა (მაქსიმუმ 40 ქულა);

აქვს ფაქტების დაკავშირებისა და ანალიზის უნარი (მაქსიმუმ 40);

მოტივაცია, მასზედ, თუ რატომ უნდა დაეუფლოს ფარმაციის მაგისტრის პროფესიას, რომელსაც წარმოადგენს წერილობით და ზეპირსიტყვიერად.

გააკეთებს პრეზენტაციას (მაქსიმუმ 20)

გასაუბრება გავლილია თუ აპლიკანტმა მიიღო 51 ქულა და მეტი შეფასება 100 ქულიდან.

შეფასების კრიტერიუმები:

100 ქულა - ფლობს საკითხს, არ აქვს ხარვეზები და უზუსტობანი,

75 ქულა - ფლობს საკითხს, არ აქვს ხარვეზები და შეინიშნება არაარსებითი ხასიათის მცირე გადაცდომები,

50 ქულა- ნაწილობრივ ფლობს საკითხს, აქვს მცირე ხარვეზები, უშვებს არაარსებითი ხასიათის უზუსტობებს,

25 ქულა - სუსტად ფლობს საკითხს, აქვს მცირე ხარვეზები, უზუსტობანი,

0 ქულა - ვერ ფლობს საკითხს, ან აქვს არსებითი ხარვეზები და უზუსტობანი.

ლიტერატურა:

Basic and clinical pharmacology Katzung, Bertram at all 2015

Clinical pharmacy and Therapeutics Walker at all

ვებ-გვერდები: www.ncdc.ge www.moh.gov.ge; www.who.int.